ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 132613512**

თარიღი:**15/05/2026**

,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად

1. შევიდეს ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში და პირველ პუნქტს დაემატოს „ჰ^{48}“ და „ჰ^{49}“ პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{48})ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაში, 62.05.57.456 საკადასტრო კოდზე მდებარე 70,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (N1 მიწისქვეშა -ჭა);

„ჰ^{49}) ქალაქ ახალციხეში, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილის მიმდებარედ, 62.09.60.353 საკადასტრო კოდზე მდებარე 896 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი